

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა  
2015 წლის 31 დეკემბერს

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 6

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება..... 8

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია..... 9

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 9

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 20

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები..... 21

5. წმინდა გამომუშავებული პრემია ..... 28

6. საკომისიო შემოსავალი..... 28

7. შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან ..... 29

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი ..... 29

9. წმინდა სადაზღვევო ზარალები ..... 29

10. სხვა საოპერაციო ხარჯები..... 30

11. საპროცენტო შემოსავალი ..... 30

12. საპროცენტო ხარჯი ..... 31

13. მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი..... 31

14. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 33

15. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ..... 33

16. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან..... 33

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 34

18. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ..... 34

19. საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა ..... 37

20. მარაგები ..... 37

21. არამატერიალური აქტივები ..... 37

22. ძირითადი საშუალებები ..... 38

23. სააქციო კაპიტალი ..... 39

24. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები..... 39

25. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 39

26. გადავადებული საკომისიო შემოსავალი ..... 39

27. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი..... 39

28. მიღებული სესხები ..... 40

29. რისკების მართვა..... 40

30. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... 48

31. პირობითი ვალდებულებები ..... 51

32. ბალანსის შემდგომი მოვლენები ..... 51

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ აქციონერებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### *მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### *დასკვნა*

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

### ***სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი***

სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2015 წლის 15 მაისს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

ჩვენ, 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-4 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნავართ ჯგუფის 2014 და 2013 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2014 და 2013 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

27 აპრილი, 2016

შპს ბიდიო

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2015	2014*
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია		8,055	7,846
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებულ მთლიან სადაზღვევო პრემიაში		(708)	(281)
<b>წმინდა მოზიდული პრემია</b>		<b>7,347</b>	<b>7,565</b>
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		1,387	4,831
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		150	62
<b>წმინდა გამოუმუშავებული პრემია</b>	5	<b>8,884</b>	<b>12,458</b>
საკომისიო შემოსავალი	6	189	65
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>		<b>9,073</b>	<b>12,523</b>
გაწეული სამედიცინო მომსახურება	7	10,302	7,475
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	136	122
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>19,511</b>	<b>20,120</b>
გადახდილი სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში		(8,179)	(9,622)
გადამზღვევლის წილი გადახდილ სადაზღვევო ზარალებში და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცვლილებაში		451	38
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	9	<b>(7,728)</b>	<b>(9,584)</b>
მარაგების ცვლილება		118	82
შემენილი მარაგების თვითღირებულება		(1,395)	(1,149)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(7,057)	(5,995)
ცვეთა და ამორტიზაცია	21, 22	(997)	(778)
საიჯარო ქირა		(246)	(145)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,555)	(1,221)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(11,132)</b>	<b>(9,206)</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი</b>		<b>651</b>	<b>1,330</b>
საპროცენტო შემოსავალი	11	367	312
საპროცენტო ხარჯი	12	(24)	(7)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		(32)	(3)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>962</b>	<b>1,632</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(95)	(34)
<b>წმინდა მოგება</b>		<b>867</b>	<b>1,598</b>

\*საწყისი ნაშთების ცვლილების ეფექტი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2016 წლის 15 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ მ. სოლოლაშვილი

ფინანსური დირექტორი \_\_\_\_\_ რ. მახარაძე

9-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2015	31.12.2014*	01.01.2014*
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	7,067	3,968	2,285
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	59	1,373	1,351
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	16	2,816	4,641	9,114
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	2,417	1,763	1,236
გადაზღვევის აქტივები	18	340	110	132
საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა	19	2	254	23
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივი		10	13	516
მარაგები	20	548	430	348
არამატერიალური აქტივები	21	376	246	205
ძირითადი საშუალებები	22	11,712	10,375	10,524
<b>სულ აქტივები</b>		<b>25,347</b>	<b>23,173</b>	<b>25,734</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი	23	32,120	29,000	28,420
დაგროვილი ზარალი		(21,399)	(22,266)	(23,864)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>10,721</b>	<b>6,734</b>	<b>4,556</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	18	8,471	10,934	16,657
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	24	40	21	35
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25	3,370	3,633	3,750
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	26	78	20	8
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	13	471	376	342
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი	27	195	250	311
მიღებული სესხები	28	2,001	1,201	-
საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა		-	4	75
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>14,626</b>	<b>16,439</b>	<b>21,178</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>25,347</b>	<b>23,173</b>	<b>25,734</b>

\*საწყისი ნაშთების ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

9-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>ნაშთი 2014 წლის 1 იანვრისთვის*</b>	<b>28,420</b>	<b>(23,864)</b>	<b>4,556</b>
გადახდილი დივიდენდები	580	-	580
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი*	-	1,598	1,598
<b>ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის*</b>	<b>29,000</b>	<b>(22,266)</b>	<b>6,734</b>
გადახდილი დივიდენდები	3,120	-	3,120
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	867	867
<b>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>32,120</b>	<b>(21,399)</b>	<b>10,721</b>

\* საწყისი ნაშთის ცვლილების ეფექტი საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

9-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	2015	2014*
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო პრემია	9,209	11,010
სამედიცინო მომსახურებისთვის მიღებული თანხები	9,621	7,911
სხვა მიღებული თანხები	409	94
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	435	309
დეპოზიტების შემცირება	1,246	1,252
დეპოზიტების ზრდა	-	(1,269)
გადახდილი ზარალები	(9,061)	(10,196)
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(5,747)	(6,023)
გადამზღვეველისათვის გადახდილი თანხა	(242)	(132)
გადახდილი საკომისიო	(17)	(19)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,460)	(2,965)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,393</b>	<b>(28)</b>
გადახდილი პროცენტი	(25)	(6)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,368</b>	<b>(34)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,106)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(82)	(64)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(3,188)</b>	<b>(64)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
სესხის აღება	2,000	1,200
სესხის დაფარვა	(1,200)	-
საწესდებო კაპიტალის შევსება	3,120	580
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>3,920</b>	<b>1,780</b>
<b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</b>	<b>3,100</b>	<b>1,682</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>3,968</b>	<b>2,285</b>
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1)	1
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>7,067</b>	<b>3,968</b>

\*საწყისი ნაშთის ცვლილებებს გავლენა არ ჰქონია ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს. კომპანია ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს, როგორც კორპორატიული, ასევე ფიზიკურ პირებისთვის: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის ქ. 16.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ავერსი-ფარმა“, რომელსაც 67%-იანი და 33%-იანი წილებით აკონტროლებენ პაატა კურტანიძე და ნიკოლოზ კურტანიძე.

კომპანია 2015 და 2014 წლებში ფლობს 100%-იან შვილობილ საწარმოს - შპს „მედალფას“, რომლის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო სერვისების გაწევა.

### 2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

#### 2.1 წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

#### 2.2 საქმიანობის უწყვეტობა და შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

#### 2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, მათ შორის სტრუქტურული ერთეულები, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი რაღაც (1) აქვს უფლებამოსილება წარმართოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის შემოსავლიანობაზე, (2) აქვს საშუალება და უფლება შეცვალოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლიანობა მოცემულ საწარმოში მისი მონაწილეობით და (3) აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე და გავლენა მოახდინოს ინვესტორის მომგებიანობაზე. როდესაც ხდება შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი მის ინვესტირებულ კომპანიაზე, გაითვალისწინება მნიშვნელოვანი უფლებების არსებობა, მათ შორის მნიშვნელოვანი პოტენციური ხმის უფლებების ფლობა. ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც მას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს იგი შვილობილი საწარმოს საქმიანობების მიმართულების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც, როდესაც იგი ფლობს ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლებს.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

სს სადაზღვევო კომპანია ალფა და მისი შვილობილი კომპანია შპს მედალფა იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

#### 2.4 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2015 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2015 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

**ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.** 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.** 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ზემოთ მოცემულის გარდა არ არსებობს სხვა სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში და რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ გავლენა ორგანიზაციაზე მიმდინარე ან მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**2.5 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

**ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

**ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება**

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის შესაბამის მუხლში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3949	2.6169
კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	1.8636	2.2656

**2.6 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია**

ჯგუფი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.1 აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კაპიტალიზდება, როგორც არამატერიალური აქტივები (DAC). ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. აკვიზიციის გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად.

მოსალოდნელი მოგების მარჯა დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე, რომელთა გადახედვა და გაანალიზებაც ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

#### 2.2 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს ჯგუფი ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შექმნილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის ჯგუფი იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შექმნილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

#### 2.3 გადაზღვევის კონტრაქტები

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი ჯგუფს უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც ჯგუფს წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.4 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

##### (i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი ჯგუფს უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). ჯგუფს ასევე შეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

#### 2.5 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ ჯგუფს ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

##### (i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას ჯგუფი ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება ჯგუფის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

##### (ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა მოხდა ჯგუფის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა ჯგუფის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

##### ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შექმნილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

##### (ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები და ფულისა და ფულის ექვივალენტების სახით.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

##### (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

- (ა) რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) რომლებსაც ჯგუფი განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და
- (გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

##### (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:
  - (i) შექმნილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
  - (ii) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

(iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას ჯგუფის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფს ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

(i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, ჯგუფს უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში
- ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება ჯგუფის ფარგლებში, ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

**(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები**

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

**ფინანსური ვალდებულებები**

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. ჯგუფის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- (ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.



**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

*(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები*

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

**2.7 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

<b>ჯგუფი</b>	<b>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</b>
შენობა	50
კომპიუტერული ტექნიკა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალება	10
სამედიცინო აღჭურვილობა	10-15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა საიჯარო ხელშეკრულების განმავლობაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 2.8 არამატერიალური აქტივები

##### *სააღრიცხვო პროგრამა*

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს სააღრიცხვო და სადაზღვევო პროგრამას. მენეჯმენტის შეფასებით არსებული არამატერიალური აქტივების ამორტიზირება მოხდება ხუთი წლის განმავლობაში.

#### 2.9 მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და მასალებს. სამედიცინო მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფაქტიური ღირებულების ჩამოწერის მეთოდით, ხოლო სხვა მარაგებისთვის კი გამოიყენება ფიფო მეთოდი.

#### 2.10 სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. გრანტში არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.

სახელმწიფო გრანტის აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმოს ექნება იმის დამაჯერებელი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით. გადავადებული შემოსავლი აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

#### 2.11 მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

### 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

#### 2.12 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

თუ მომსახურება იცვლება განსხვავებული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, ასეთი გაცვლა ითვლება ამონაგების წარმომქნელ ოპერაციად. ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის შეფასება ხდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხის მიხედვით.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების და შიდაჯგუფური შემოსავლების ელიმინირების გათვალისწინებით.

ჯგუფის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და ჯგუფის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

#### 2.13 ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი შეფასებები და დაშვებები**

*(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები*

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

*ბ) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები*

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

*გ) მოგების გადასახადი*

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

*დ) მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი*

ჯგუფი აფასებს დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტებიდან, ასევე სამედიცინო მომსახურების გაწვიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები**

2013 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა შემდეგი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,267	-	18	2,285	რეკლასიფიკაცია გაუკეთდა ტენდერის საგარანტიო თანხას ფულსა და ფულის ეკვივალენტებში
დეპოზიტები	1,276	-	(1,276)	-	დეპოზიტების და დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო მოთხოვნის წარდგენა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებში
მისაღები პროცენტები	75	-	(75)	-	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	1,351	1,351	
მისაღები სადაზღვევო პრემია	9,284	(170)	(9,114)	-	მისაღები სადაზღვევო პრემიის გაუფასურება.
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	-	-	9,114	9,114	შეიცვალა მუხლის დასახელება, წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც 'მისაღები სადაზღვევო პრემია'
გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	24	-	(24)	-	
გადამზღვეველის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	100	-	(100)	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვეველის წილის გამოყოფა.
გადამზღვეველის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	-	8	(8)	-	სადაზღვევო ვალდებულებებში გადაზღვევის წილების დაჯგუფება და წარდგენა გადაზღვევის აქტივების მუხლში.
გადაზღვევის აქტივები	-	-	132	132	
სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	1,279	(32)	(1,247)	-	გაუფასურებული მოთხოვნის გაუქმება.
გადავადებული აკვიზაციის ხარჯები	7	-	(7)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები“ და „გადავადებული აკვიზაციის ხარჯები“
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,236	1,236	
მარაგები	378	(30)	-	348	მარაგების დარეზერვება
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადი	5	24	(29)	-	საგადასახადო აქტივების ნაშთის კორექტირება
საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა	-	-	23	23	შეიცვალა მუხლის დასახელება, წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადი“

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
<b>ვალდებულებები</b>					
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	8,650	42	(8,692)	-	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის კორექტირება.
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	7,772	(113)	(7,659)	-	ჯანმრთელობის მოთხოვნის კონსოლიდაციის კორექტირების გაუქმება.
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	298	8	(306)	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვევის წილის გამოყოფა.
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			16,657	16,657	სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების წარდგენა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მუხლში.
ვალდებულება გადამზღვევის მიმართ	29	-	(29)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „ვალდებულება გადამზღვევის მიმართ“ და „გადასახდელი საკომისიო“
გადასახდელი საკომისიო	6	-	(6)	-	
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები			35	35	
არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	3,749	1	(3,750)	-	მუხლის დასახელების ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც 'არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები'
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			3,750	3,750	
გადასახდელი გადასახადები	104	(23)	(81)	-	საგადასახადო ვალდებულებების ნაშთის კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა	-	-	75	75	შეიცვალა მუხლის დასახელება, წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „გადასახდელი გადასახადები“
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	98	244		342	გადავადებული მოგების გადასახადის კორექტირება დროებითი სხვაობების ცვლილებიდან გამომდინარე
<b>კაპიტალი</b>					
დაგროვილი ზარალი	(23,505)	(359)	-	(23,864)	წინა პერიოდის კორექტირებების ეფექტის ასახვა დაგროვილ ზარალზე

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

2014 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა შემდეგი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,933	-	35	3,968	რეკლასიფიკაცია გაუკეთდა ტენდერის საგარანტიო თანხას ფულსა და ფულის ეკვივალენტებში
დეპოზიტები	96	-	(96)	-	
სადეპოზიტო სერტიფიკატი	1,269	-	(1,269)	-	დეპოზიტების, სადეპოზიტო სერტიფიკატის და დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო მოთხოვნის წარდგენა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებში
მისაღები პროცენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	-	(8)	1,373	
მისაღები სადაზღვევო პრემია	4,783	(183)	(4,600)	-	ჯანმრთელობის დაზღვევიდან წარმოქმნილი მოთხოვნის კონსოლიდაციის კორექტირების გაუქმება.
გადამზღვეველისგან მისაღები თანხები	121	-	(121)	-	გადამზღვეველთან არსებული მოთხოვნა-ვალდებულების ნაშთების გადახურვა.
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან			4,641	4,641	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „მისაღები სადაზღვევო პრემია“ და „გადამზღვეველისგან მისაღები თანხები“
გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	85	-	(85)	-	
გადამზღვეველის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	14	-	(14)	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვეველის წილის გამოყოფა.
გადამზღვეველის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	-	11	(11)	-	სადაზღვევო ვალდებულებებში გადაზღვევის წილების დაჯგუფება და წარდგენა გადაზღვევის აქტივების მუხლში
გადაზღვევის აქტივები			110	110	
სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	1,868	1	(1,869)	-	გაუფასურებული მოთხოვნის გაუქმება. მუხლების დაჯგუფება
გადავადებული აკვიზაციის ხარჯები	6	-	(6)	-	ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „სხვა მოთხოვნები და
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,763	1,763	გადახდილი ავანსები“ და „გადავადებული აკვიზაციის ხარჯები“

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
მარაგები	467	(37)	-	430	მარაგების დარეზერვება
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	28	(15)	-	13	საგადასახადო აქტივის ნაშთის კორექტირება
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	311	-	(311)	-	საგადასახადო აქტივების ნაშთის კორექტირება.
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადი	16	-	(16)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც
საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა	-	-	254	254	„წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი“ და „წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადი“
<b>ვალდებულებები</b>					
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	3,831	30	(3,861)	-	ჯანმრთელობის დაზღვევიდან წარმოქმნილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის კონსოლიდაციის კორექტირების გაუქმება.
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	6,883	-	(6,883)	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვევლის წილის გამოყოფა.
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	178	12	(190)	-	სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების წარდგენა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მუხლში.
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-	10,934	10,934	
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ	177	-	(177)	-	გადამზღვეველთან არსებული მოთხოვნა-ვალდებულების ნაშთების გადახურვა.
გადასახდელი საკომისიო	1	-	(1)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები			21	21	„ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ“ და „გადასახდელი საკომისიო“
არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	3,633	-	(3,633)	-	მუხლის დასახელების ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც ‘არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები’
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			3,633	3,633	
გადასახდელი გადასახადები	78	(1)	(77)	-	საგადასახადო ვალდებულების ნაშთის კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა			4	4	შეიცვალა მუხლის დასახელება, წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „გადასახდელი გადასახადები“



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	111	265	-	376	გადავადებული მოგების გადასახადის კორექტირება დროებითი სხვაობების ცვლილებიდან გამომდინარე
<b>კაპიტალი</b>					
დაგროვილი ზარალი	(21,737)	(529)	-	(22,266)	წინა პერიოდის კორექტირებების ეფექტის ასახვა დაგროვილ ზარალზე.
<b>შემოსავლები და ხარჯები</b>					
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია	7,803	43		7,846	ჯანმრთელობის დაზღვევიდან მოზიდული პრემიის და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილების
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	4,819	12		4,831	კონსოლიდაციის კორექტირების გაუქმება.
მიღებული გადაზღვევის საკომისიო	77	-	(77)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის.
ცვლილება გადავადებული გადაზღვევის საკომისიოში	(12)	-	12	-	წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „მიღებული გადაზღვევის საკომისიო“ და „ცვლილება გადავადებული გადაზღვევის საკომისიოში“
საკომისიო შემოსავალი			65	65	
სხვა შემოსავალი	143	(47)	(96)	-	საგადასახადო აქტივის ნაშთის კორექტირების გაუქმება და გათვალისწინება საწყის ნაშთში.
შემოსავალი გადარჩენილი ქონებიდან	19	-	(19)	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „სხვა
სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია	61	-	(61)	-	შემოსავალი“, „შემოსავალი გადარჩენილი ქონებიდან“ და „სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია“.
სხვა საოპერაციო შემოსავალი			122	122	
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	7,368	107	-	7,475	კონსოლიდაციის კორექტირების ცვლილება.
საპროცენტო შემოსავალი	299	-	13	312	საპროცენტო შემოსავლების გადატანა სხვა საოპერაციო შემოსავლების მუხლიდან საპროცენტო შემოსავლების მუხლში.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
ანაზღაურებული ზარალები	(10,599)	(209)	10,808	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვევლის წილის გამოყოფა.
ზარალების რეზერვის ცვლილება, გროსი	1,010	18	(1,028)	-	მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის კორექტირება.
შემოსავალი რეგრესიდან	74	-	(74)	-	კონსოლიდაციის კორექტირების ცვლილება.
გადახდილი სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში			(9,622)	(9,622)	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „ანაზღაურებული ზარალები“, „ზარალების რეზერვის ცვლილება“ და „შემოსავალი რეგრესიდან“.
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	121	4	(125)	-	მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალების რეზერვში გადამზღვევლის წილის გამოყოფა.
ზარალების რეზერვის ცვლილება (გადამზღვევლის წილი)	(87)	-	87	-	მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში“ და „ზარალების რეზერვის ცვლილება (გადამზღვევლის წილი)“.
გადამზღვევლის წილი გადახდილ სადაზღვევო ზარალებში და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცვლილებაში			38	38	
შრომის ანაზღაურება და პრემიები	(6,083)	-	88	(5,995)	თანამშრომელთა ხელფასიდან დაქვითვებით აღიარებული შემოსავლების დანეტება ხელფასის ხარჯთან.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
აკვიზაციის ხარჯები, გროსი	(20)	-	20	-	პოლისების მოზიდვის ხარჯის წარდგენა სხვა
ცვლილება გადავადებულ აკვიზაციის ხარჯში	(1)	-	1	-	საოპერაციო ხარჯებში.
საეჭვო და უიმედო ვალების ხარჯი	(61)	-	61	-	საგადასახადო აქტივის ნაშთის კორექტირება. ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯის კონსოლიდაციის კორექტირების გაუქმება.
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,145)	(70)	2,215	-	ხარჯების რეკლასიფიკაცია ფინანსური ანგარიშგების ცალკე მუხლებში წარსადგენად. მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის.
სხვა საოპერაციო ხარჯები			(1,221)	(1,221)	წინა პერიოდში წარდგენილი იყო როგორც „საეჭვო და უიმედო ვალების ხარჯი“, „სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“, აკვიზაციის ხარჯები, გროსი“ და „ცვლილება გადავადებულ აკვიზაციის ხარჯში“.
მოგების გადასახადის ხარჯი	(14)	(20)	-	(34)	გადავადებული მოგების გადასახადის მიდინარე ეფექტის კორექტირება.
საიჯარო ქირა	-	-	(145)	(145)	საიჯარო ქირის ცალკე მუხლად წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.
მარაგების ცვლილება	-	(7)	89	82	გახარჯული მარაგების წადგენის ცვლილება.
შემძენილი მარაგების თვითღირებულება	-	-	(1,149)	(1,149)	
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	-	-	(3)	(3)	კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალის ცალკე მუხლად წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**5. წმინდა გამომუშავებული პრემია**

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო	6,606	-	6,606	1,523	8,129
კასკო	912	(432)	480	(18)	462
ქონება	445	(242)	203	31	234
ტვირთები	38	(25)	13	-	13
სამოგზაურო	34	-	34	-	34
უბედური შემთხვევა	20	(9)	11	(1)	10
სხვა ვალდებულებები	-	-	-	2	2
<b>სულ</b>	<b>8,055</b>	<b>(708)</b>	<b>7,347</b>	<b>1,537</b>	<b>8,884</b>

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო	7,156	-	7,156	4,930	12,086
კასკო	385	(188)	197	(27)	170
ქონება	231	(70)	161	(40)	121
ტვირთები	39	(20)	19	-	19
სამოგზაურო	24	-	24	(1)	23
უბედური შემთხვევა	7	(3)	4	-	4
სხვა ვალდებულებები	4	-	4	31	35
<b>სულ</b>	<b>7,846</b>	<b>(281)</b>	<b>7,565</b>	<b>4,893</b>	<b>12,458</b>

**6. საკომისიო შემოსავალი**

საკომისიო შემოსავალი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
საკომისიო შემოსავალი	247	77
გადავადებული შემოსავალი	(78)	(20)
ამორტიზაცია	20	8
<b>სულ</b>	<b>189</b>	<b>65</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**7. შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან**

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
შემოსავალი სახელმწიფო სექტორიდან	9,035	6,161
ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი	1,094	1,077
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან	173	237
<b>სულ</b>	<b>10,302</b>	<b>7,475</b>

**8. სხვა საოპერაციო შემოსავალი**

სხვა საოპერაციო შემოსავალი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია	54	61
საიჯარო შემოსავალი	24	21
გადარჩენილი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	21	16
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	9	7
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების კომპენსირება	11	-
სხვა	17	17
<b>სულ</b>	<b>136</b>	<b>122</b>

**9. წმინდა სადაზღვევო ზარალები**

წმინდა სადაზღვევო ზარალები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
დარეგულირებული ზარალები	(9,453)	(10,604)
ზარალების რეზერვებში ბრუტო ცვლილება	1,077	892
რეგრესები	197	90
<b>დარეგულირებული სადაზღვევო ზარალები და ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში</b>	<b>(8,179)</b>	<b>(9,622)</b>
გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალებში	371	121
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვევლის წილი	80	(83)
<b>გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ სადაზღვევო ზარალებში და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცვლილებაში</b>	<b>451</b>	<b>38</b>
<b>წმინდა სადაზღვევო ზარალები</b>	<b>(7,728)</b>	<b>(9,584)</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**10. სხვა საოპერაციო ხარჯები**

სხვა საოპერაციო ხარჯები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(397)	(130)
პროფესიული მომსახურება	(358)	(290)
კომუნალური გადასახადები	(290)	(297)
შეკეთება	(124)	(65)
კომუნიკაცია	(53)	(60)
ტრანსპორტირება	(49)	(63)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(33)	(32)
პოლისების მოზიდვის ხარჯი	(33)	(21)
რეკლამა	(30)	(32)
სოფლის ექიმების მომსახურება	-	(93)
ჯარიმა	(27)	-
მივლინება	(22)	(10)
თანამშრომელთა კვება	(22)	(22)
ბანკის საკომისიო	(20)	(12)
საკანცელარიო ხარჯი	(12)	(4)
დაზღვევა	(10)	(8)
საწევრო გადასახადი	(10)	(5)
საკომისიო ხარჯი	(9)	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	(9)	(7)
ტენდერის მოსაკრებელი	(7)	(6)
საქველმოქმედო ხარჯი	(6)	-
საგარანტიო ხარჯები	(6)	(4)
დაცვა	(5)	(4)
სხვა	(23)	(56)
<b>სულ</b>	<b>(1,555)</b>	<b>(1,221)</b>

**11. საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე და ვადიან ანგარიშებზე დარიცხულ პროცენტებს, რომელიც 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
საქართველოს ბანკი	225	144
ლიბერთი ბანკი	81	159
ბანკი რესპუბლიკა	34	-
ფინკა ბანკი საქართველო	20	-
ბაზის ბანკი	6	8
კორსტანდარტ ბანკი	1	1
<b>სულ</b>	<b>367</b>	<b>312</b>

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**12. საპროცენტო ხარჯი**

საპროცენტო ხარჯი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
შპს „ავერსის კლინიკა“	(23)	(7)
შპს ავერსი ფარმა	(1)	-
<b>სულ</b>	<b>(24)</b>	<b>(7)</b>

2015 და 2014 წელში გადახდილმა პროცენტმა შეადგინა 24,658 ლარი და 5,918 ლარი, შესაბამისად..

**13. მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015	2014
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
დროებითი სხვაობის ეფექტი	(95)	(34)
<b>ჯამი</b>	<b>(95)</b>	<b>(34)</b>

	2015	2014
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>962</b>	<b>1,632</b>
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	(144)	(245)
საგადასახადო ზარალის გამოყენება	8	7
მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგება*	164	214
აუღიარებელი საგადასახადო ზარალი**	(178)	(39)
უიმედო ვალების ხარჯის მუდმივი სხვაობის ეფექტის აღდგენა	47	-
სხვა მუდმივი სხვაობების ეფექტი	8	29
<b>ჯამი</b>	<b>(95)</b>	<b>(34)</b>

\*მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგება წარმოადგენს შპს „მედალფას“ სამედიცინო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას, რომლის რეინვესტირებასაც (სამედიცინო დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) გეგმავს ჯგუფის მენეჯმენტი შესაბამისი პროფილით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით რეინვესტირების პერიოდი უნდა მოიცავდეს საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წელს.

\*\*2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნდა დაგროვილი საგადასახადო ზარალი. ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით არსებობს განუსაზღვრელობა აღნიშნული საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გამოყენებასთან დაკავშირებით, ამიტომ მენეჯმენტმა არ აღიარა მოცემულ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი.

ცვლილება გადავადებული მოგების გადასახადში 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2015	31.12.2014
<b>1 იანვარი</b>	<b>376</b>	<b>342</b>
<b>მოგებაში და ზარალში ასახული</b>		
მოგების გადასახადის ხარჯი	95	34
<b>სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>31 დეკემბერი</b>	<b>471</b>	<b>376</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**13. მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება) დროებითი სხვაობების მიხედვით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	აქტივი 31.12.2015	ვალდებულება 31.12.2015	ნეტო 31.12.2015	აღრიცხული მოგება/ზარალი 31.12.2015
მირითდი საშუალებები	-	(631)	(631)	(104)
არმატერიალური აქტივები	12	-	12	3
მარაგები	6	-	6	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24	-	24	22
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	11	-	11	3
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	62	-	62	2
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	(179)	(179)	(179)
საგადასახადო ზარალი	3,530	-	3,530	328
<b>სულ დროებითი სხვაობები</b>	<b>3,645</b>	<b>(810)</b>	<b>2,835</b>	<b>75</b>
აულიარებელი საგადასახადო ზარალი	(3,306)	-	(3,306)	(170)
<b>საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>339</b>	<b>(810)</b>	<b>(471)</b>	<b>(95)</b>
გადახურვა	(339)	339	-	-
<b>წმინდა საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>-</b>	<b>(471)</b>	<b>(471)</b>	<b>(95)</b>

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება) დროებითი სხვაობების მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	აქტივი 31.12.2014	ვალდებულება 31.12.2014	ნეტო 31.12.2014	აღრიცხული მოგება/ზარალი 31.12.2014
მირითდი საშუალებები	-	(527)	(527)	(32)
არმატერიალური აქტივები	9	-	9	2
მარაგები	6	-	6	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	-	2	2
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8	-	8	8
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	60	-	60	10
საგადასახადო ზარალი	3,202	-	3,202	7
<b>სულ დროებითი სხვაობები</b>	<b>3,287</b>	<b>(527)</b>	<b>2,760</b>	<b>(2)</b>
აულიარებელი საგადასახადო ზარალი	(3,136)	-	(3,136)	(32)
<b>საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>151</b>	<b>(527)</b>	<b>(376)</b>	<b>(34)</b>
გადახურვა	(151)	151	-	-
<b>წმინდა საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>-</b>	<b>(376)</b>	<b>(376)</b>	<b>(34)</b>

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება) დროებითი სხვაობების მიხედვით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	აქტივი 01.01.2014	ვალდებულება 01.01.2014	ნეტო 01.01.2014
მირითდი საშუალებები	-	(495)	(495)
არმატერიალური აქტივები	7	-	7
მარაგები	5	-	5
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50	-	50
საგადასახადო ზარალი	3,195	-	3,195
<b>სულ დროებითი სხვაობები</b>	<b>3,257</b>	<b>(495)</b>	<b>2,762</b>
აულიარებელი საგადასახადო ზარალი	(3,104)	-	(3,104)
<b>საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>153</b>	<b>(495)</b>	<b>(342)</b>
გადახურვა	(153)	153	-
<b>წმინდა საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>-</b>	<b>(342)</b>	<b>(342)</b>



სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**14. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014	01.01.2014
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	6,956	3,859	2,261
ფული სალაროში	15	7	6
შეზღუდული ფული*	96	102	18
<b>სულ</b>	<b>7,067</b>	<b>3,968</b>	<b>2,285</b>

\*შეზღუდული ფული მოიცავს ტენდერის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

**15. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014	01.01.2014
ძირი	50	1,296	1,276
პროცენტი	9	77	75
<b>სულ</b>	<b>59</b>	<b>1,373</b>	<b>1,351</b>

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადით გახსნილ დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში.

სადაზღვევო კომპანია ალფას მოთხოვნება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებულ ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

**16. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან**

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014	01.01.2014
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (ჯანმრთელობა)	2,428	4,419	8,995
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან (არაჯანმრთელობა)	391	231	119
მოთხოვნები გადაზღვევიდან	71	41	-
	<b>2,890</b>	<b>4,691</b>	<b>9,114</b>
მინუს: პოლისის მფლობელებთან არსებული მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(74)	(50)	-
<b>სულ</b>	<b>2,816</b>	<b>4,641</b>	<b>9,114</b>

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**16. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან (გაგრძელება)**

ცვლილება გაუფასურების რეზერვებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014
<b>ნაშთი 1 იანვრისთვის</b>	<b>(61)</b>	<b>-</b>
ცვლილება სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში	(24)	(50)
ცვლილება რეგრესებიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში (შენიშვნა 17)	(71)	(11)
ცვლილება სამედიცინო მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების რეზერვში (შენიშვნა 17)	(76)	-
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>(232)</b>	<b>(61)</b>

**17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014	01.01.2014
<b>ფინანსური აქტივები</b>			
მოთხოვნების სამედიცინო მომსახურების გაწევიდან	2,158	1,575	1,089
მოთხოვნები რეგრესიდან	148	57	-
თანამშრომელთა მიმართ მოთხოვნები	38	14	9
<b>არაფინანსური აქტივები</b>			
გადახდილი ავანსები	209	106	124
სხვა მოთხოვნები	22	22	14
	<b>2,575</b>	<b>1,774</b>	<b>1,236</b>
მინუს: რეგრესული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(82)	(11)	-
მინუს: სამედიცინო მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(76)	-	-
<b>სულ</b>	<b>2,417</b>	<b>1,763</b>	<b>1,236</b>

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

**18. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2015	31.12.2014	01.01.2014
<b>სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>			
აღიარებული ზარალები	4,831	5,396	4,435
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	2,474	3,861	8,692
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	958	1,488	3,224
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	208	189	306
<b>სულ სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>	<b>8,471</b>	<b>10,934</b>	<b>16,657</b>

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

<b>18. გადაზღვევის აქტივები და სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გაგრძელება)</b>	<b>31.12.2015</b>	<b>31.12.2014</b>	<b>01.01.2014</b>
<b>გადაზღვევის აქტივები</b>			
გადამზღვეველის წილი აღიარებულ ზარალებში	24	-	-
გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	235	85	24
გადამზღვეველის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	61	14	100
გადამზღვეველის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	20	11	8
<b>სულ გადაზღვევის აქტივები</b>	<b>340</b>	<b>110</b>	<b>132</b>
<b>გადამზღვეველის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>			
აღიარებული ზარალები	4,807	5,396	4,435
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	2,239	3,776	8,668
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	897	1,474	3,124
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	188	178	298
<b>გადამზღვეველის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები</b>	<b>8,131</b>	<b>10,824</b>	<b>16,525</b>

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

**ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**

<b>გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ბრუტო</b>	<b>31.12.2015</b>	<b>31.12.2014</b>
<b>ნაშთი 1 იანვრისთვის</b>	<b>3,861</b>	<b>8,692</b>
მოზიდული პრემია	8,830	8,919
მოზიდული პრემიის გაუქმება	(775)	(1,073)
ბრუტო გამომუშავებული პრემია	(9,442)	(12,677)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>2,474</b>	<b>3,861</b>

**გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში**

<b>ნაშთი 1 იანვრისთვის</b>	<b>85</b>	<b>23</b>
გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში	708	281
მოზიდული პრემიის გაუქმებაში გადამზღვეველის წილი	-	-
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვეველის წილი	(558)	(219)
<b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>235</b>	<b>85</b>

**გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, ნეტო**

